2018

ცოცხალი ისტორიების კრებული



პუბლიკაცია მომზადებულია ასოციაცია

“ჰერა XXI”-ს მიერ

1/1/2018

„გადავწყვიტე მეთქვა“

(ზეპირი ისტორიები ქალთა მიმართ ძალადობაზე)

პუბლიკაცია მომზადებულია ასოციაცია “ჰერა XXI”-ს მიერ ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კვირეულის ფარგლებში

რესპონდენტების რეკრუტირებისა და ინტერვიუების ჩაწერისთვის მადლობას ვუხდით ჩვენს მოხალისეებს: ანა ჯაყელს, მარიამ ჩაკვეტაძეს, ანა ჯამრულიძეს, ლელა ვარდიძეს, ასმო ხეჩაშვილს, ნინო შურღაიას, მაკა ჩილინგარაშვილს

“მსოფლიოში ყველა ქალი დგას სამი უდიდესი პრობლემის წინაშე, ესენია: ოჯახში ძალადობა, სექსუალური შევიწროვება და გაუპატიურება”

ტონი მორისონი

ასოციაცია “ჰერა XXI” შეუერთდა კამპანიას ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ. აღნიშნული კამპანია იწყება 25 ნოემბერს და სრულდება 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო დღეს. 25 ნოემბერი უკავშირდება 1960-იან წლებში დომენიკის რესპუბლიკაში სამი მეამოხე დის - მირაბელების მკვლელობას დიქტატორი ტრუხილოს მიერ. 1981 წელს ამავე დღეს მოეწყო დიდი მარში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ, რომელშიც ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალები და მათი მხარდამჭერები მონაწილეობდნენ. 1999 წლიდან კი გაერთიანებული ერების ორგანიზაცია 25 ნოემბრიდან 2 კვირის მანძილზე აღნიშნავს გენდერული ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლას სხვადასხვა აქტივბებითა და ღონისძიებებით.

“ჰერა XXI”-ს მოხალისეების მიერ კამპანიის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან შეგროვდა ქალთა ზეპირი ისტორიები ძალადობრივი გამოცდილებების შესახებ. ჩვენ ვიპოვეთ და გავაჟღერეთ იმ ადამიანების ხმა, რომელთაც განიცადეს გენდერული ნიშნით ძალადობა და სურთ საკუთარი გამოცდილება სხვათა გასაძლიერებლად გააზიარონ.

ისტორია #1: ძალადობა ოჯახში

რესპონდენტი თელავიდან, 27 წლის

ძალადობა ოჯახში

თექვსმეტი წლის დავქორწინდი. მიუხედავად ჩემი ოჯახის წინააღმდეგობისა ცოლად გავყევი მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირს. მას არ შეეძლო დამოუკიდებლად გადაადგილება. მე სიყვარულის გამო ეს ფაქტი დაბრკოლებად არ მივიჩნიე. დროთა განმავლობაში ჩემი ქმრის მდგომარეობა გაუმჯობესდა, რამაც სულაც არ შეცვალა უკეთესობისკენ ჩვენი ცხოვრება, პირიქით. ჩემს მიმართ აგრესიული გახდა. ფიზიკურ ძალადობას ჰქონდა ადგილი. მე ვმუშაობდი, ფული კი მისთვის მიმქონდა. სხვადასხვა ნივთებს ვქსოვდი. ხშირად, თუ ჩემი განწყობა არ მოეწონებოდა, ყველაფერს ხელს დაავლებდა და ღუმელში მიყრიდა. ღამით კი ცულთან ერთად იძინებდა...

საყვარლებიც ჰყავდა და ამას არც მალავდა. მეტიც თავისი ურთიერთობის ჩანაწერებსაც მაჩვენებდა ხოლმე. მხარდაჭერას ვერავისგან ვგრძნობდი, რადგან დანარჩენ ოჯახის წევრებზეც ძალადობდა და ყველა ერთ დღეში ვიყავით. დიდი ხნის მანძილზე ოჯახის გარეთ არავისთვის არაფერი მითქვამს. ვერც ჩემმა ფეხმძიმობამ შეცვალა მდგომარეობა, მგონი უფრო პირიქით.

ჩემი ქმარი სარგებლობდა იმით, რომ მის გამო ჩემმა ოჯახმა უარმყო. ხშირად მეუბნებოდა, რომ არსად მქონდა წასასვლელი და ბოლოს მაინც მასთან ცხოვრება მომიწევდა.

„გაქცევა“

სამი თვის ორსული ვიყავი და ყოველდღიურად ძალადობისა და საფრთხის ქვეშ ვიძინებდი. იმ დროისთვის დამლაგებლად ვმუშაობდი ერთგან. დაგვიანების გამო სამსახურშიც მომიხტა და იქ საშინელებები მოახდინა. მკაცრი საყვედური მივიღე, გამაფრთხილეს ასე აღარ განმეორდეს თორემ გაგათავისუფლებთო. განა მე მინდოდა ასე მომხდარიყო? ამის გამო გადავწყვიტე საბოლოოდ დამესრულებინა ურთიერთობა. ამ დროს ჯიბეში ერთი ლარიც არ მედო. ცოტა ხნით თანამშრომლებმა შემიფარეს, ორი კვირის მერე ბინა ვიქირავე, მალევე ჩემი ძმაც შემირიგდა და თავის სახლში წამიყვანა.

ცხოვრება ძალადობის შემდეგ

ახლა ცხრა წლის ვაჟი მყავს, ვმუშაობ და ვცდილობ განვლილი ტანჯვა დავივიწყო.

რას ურჩევდით სხვებს

როგორც კი იგრძნობენ რომ ძალადობას აქვს ადგილი, თავის დროზე დააღწიონ თავი. ვნანობ, რომ ამდენ ხანს გავჩერდი. ვისურვებდი, რომ ამავე სიტუაციაში არცერთი ქალი არ იყოს, მაგრამ თუ მაინც აღმოჩნდებიან არ უნდა დანებდნენ, უნდა იბრძოლონ თავიანთი მომავლისთვის!

ისტორია #2: ძალადობა ოჯახში

რესპონტენტი თბილისიდან, 50 წლის

ძალადობა ოჯახში

მე და ჩემს ქმარს ძალიან კარგი ურთიერთობა გვქონდა, გვიყვარდა ერთმანეთი, მაგრამ ჩემი მეუღლის ოჯახთან ერთად ვცხოვრობდით და დედამთილისგან დიდ აგრესიას ვგრძნობდი. ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ვიყავი, ინჟინერიაზე ვსწავლობდი და დილიდან საღამომდე გასული ვიყავი, სწავლაც ძალიან რთული იყო, დიდ დროს ვუთმობდი და დედამთილი მუდმივად მეზობლების რძლებს მადარებდა, როგორ ალაგებდნენ სახლს და როგორ უვლიდნენ ოჯახს, სულ მაგრძნობინებდა, რომ მე არ ვიყავი კარგი რძალი და კარგი ცოლი. 2 თვის დაქორწინებული ვიყავი, როცა ქმრის მშობლებმა მითხრეს - “ ბერწს ძროხასაც არ გავაჩერებთ სახლშიო”. საბედნიეროდ, დავორსულდი. მაგრამ ყველაფერი უარესობისკენ შეიცვალა. ორსულობის პერიოდში განსაკუთრებით მინდებოდა ტკბილეული, ალბათ უმეტესობას აქვს მსგავსი სურვილები და არასდროს მისრულებდნენ, ხალხში ლაპარაკობდა “არ მიყვარს ჩემი რძალი და მისი არც გაკეთებული მინდა რამე და არც მე ვუყიდი ან შევუსრულებ რამესო”, მაგრამ მე ყველაფრის გაკეთებას მაძალებდა, 7 თვის ორსულს იატაკს მარეცხინებდა და მაპრიალებინებდა. ძალიან რთული ორსულობა მქონდა ამის გამო.

“ოჯახის საქმე”

ჩემს დამალვას აზრიც არ ჰქონდა. ჩემი მშობლების თანდასწრებით რამდენიმეჯერ ორსულს ჩემი დედამთილი თმებში მწვდა და ეს ვერ მოვითმინე, შევეპასუხე. ამის მერე უკვე ცუდი რძლის სახელი მქონდა და ხალხში ჩემზე ცუდად ლაპარაკობდა. ჩემ გარშემოც ყველამ იცოდა, მაგრამ ოჯახის საქმეში არ ერეოდნენ, არ უნდოდათ ოჯახის დანგრევა, რადგან ქმართან დაძაბული ურთიერთობა არ მქონდა. ერთადერთი იყო დედაჩემი, ვინც სულ მეუბნებოდა, წამოვსულიყავი ჩემი ქმრის სახლიდან და დავშორებოდი.

გოგოს დაბადება

სანამ გავაჩენდი, შვილის სქესი არ ვიცოდი. გოგო რომ გავაჩინე, ჩემს დედამთილს საშინელი რეაქცია ჰქონდა, ჩემს ქმარს ეუბნებოდა, მამიდაშენს, დეიდაშენს და მთლიანად ჩვენს ნათესაობას ეწყინება, გოგო რომ გაგიჩნდაო. არ თვლიდნენ შვილიშვილად სქესის გამო.

ცხოვრება ძალადობის შემდეგ

ამის მერე ძალიან ჩავიკეტე, ყველასთან გავწყვიტე ურთიერთობა, მხოლოდ უნივერსიტეტში დავდიოდი. რაღაც პერიოდის მერე შედარებით დავძლიე ემოციები და ერთადერთი მიზანი დავისახე, სწავლა დამემთავრებინა და მუშაობა დამეწყო. ვერავის ვენდობოდი და პირადი ცხოვრებაც დიდხანს არ მქონია, 6 წელი საერთოდ არ მიფიქრია ამ თემაზე და შემდეგ მშობლების ინიციატივით შევხვდი ადამიანს, რომელთანაც შევქმენი ოჯახი და დღემდე იდეალური ურთიერთობა გვაქვს, ჩემს შვილსაც მამობას უწევს, მუშაობაც დავიწყე ,საკუთარი თავის ფინანსური უზრუნველყოფაც შევძელი და წარსულის გახსენება უკვე აღარ მინდა.

ტრავმა

არ ვიცი,მიჭირს ამაზე ლაპარაკი. ძალიან რთულია გადმოცემა. ალბათ სხვანაირად ვერ მოვიქცეოდი. მე ჩემი მეუღლე ძალიან მიყვარდა ,არც გვქონია არეული ურთიერთობა და ვერ ვფიქრობდი ოჯახის დანგრევაზე. ასე ზედაპირული მოყოლით მარტივი ჩანს, მაგრამ მე ამის გახსენებით და მოყოლითაც დიდ ტრავმას ვიღებ, იმდენი დეტალია, რისი გახსენებაც მიჭირს და თქმაც. რაც მოგიყევი არაფერია იმასთან შედარებით, რაც გავიარე და რასაც ახლაც ვგრძნობ. ალბათ კი იმ კუთხით, რომ ხშირად აღარ ვფიქრობ ამ თემაზე,

ჩემს ოჯახზე და მეუღლეზე ვარ ორიენტირებული, მაგრამ როცა მახსენდება ყველა შეგრძნება მიახლდება. ახლაც რომ მოვყევი ისევ იგივე სიტუაციაში მეგონა თავი, წარმოუდგენლად რთულია ჩემთვის ეს ყველაფერი დღემდე და ალბათ ყოველთვის ასე იქნება.

რას ურჩევდით სხვებს

თუ დედამთილი ექცევა ცუდად, ვურჩევდი, გათხოვებისთანავე უარი ეთქვა ქმრის ოჯახთან ცხოვრებაზე, ამის გამო ოჯახის დანგრევა რომ არ მოუწიოს. ქმარი თუ ექცევა ცუდად და ძალადობს მასზე, მე არ ვყოფილვარ ამ სიტუაციაში, მაგრამ მაინც მაშინვე დაშორებას ვურჩევდი. მოკლედ რომ ვთქვა, ნებისმიერ შემთხვევაში ვურჩევდი, მოძალადეს გაერიდოს და უარი თქვას მასთან ყოფნაზე, მითუმეტეს ცხოვრებაზე, ვინც უნდა იყოს ის. ეს ისტორია ძალიან მძიმე გასახსენებელია, მაგრამ მაინც გიზიარებთ, რადგან არ მინდა ეს გზა კიდევ ვინმემ გამოიაროს.

ისტორია #3: სექსუალური შევიწროვება საჯარო სივრცეში

რესპონდენტი ჭიათურიდან, 60 წლის

სექსუალური შევიწროვება საჯარო ადგილას

ახლახან მიდის მსჯელობა, რომ ქუჩაში გოგოების შევიწროვება აკრძალონ თუ რაღაც მსგავსი მოვისმინე. ეს მისასალმებელია. არ ვიცი ეხლაც ხდება თუ არა, მაგრამ საბჭოთა კავშირში ყველა გოგოს ხვედრი იყო უშვერი სიტყვების და ბინძური შეძახილების მოსმენა ქუჩა იქნებოდა ეს თუ ეზო.

შეიძლება ითქვას უამრავი მაგალითი მაქვს მე პირადად იმისა, რასაც ეხლა სექსუალურ შევიწროვებას ეძახიან. ერთ-ერთს გავიხსენებ. 25-26 წლის ვიქნებოდი. მაშინ ჭიათურასა და საჩხერეს შორის ტროლეიბუსი დადიოდა. დედაჩემი იწვა საავადმყოფოში საჩხერეში და მის სანახავად ვიყავი, დაღლილი და განერვიულებული ვბრუნდებოდი უკან ტროლეიბუსით. ერთ-ერთ გაჩერებაზე ორი მთვრალი ბიჭი ამოვიდა. თავიდანვე არ მესიამოვნა მათი ამოსვლა, მივხვდი რომ რაღაც არასასურველი და არასახარბიელო მელოდებოდა. ვცდილობდი არ გამეხედა მათკენ, მაგრამ არ დააყოვნა და ერთმა დამიძახა: “ეი, გოგონი, გამომხედეო”. არაფერი შევიმჩნიე, გავაგრძელე ფანჯარაში ყურება. მერე უფრო ხმამაღლა დამიძახა “გოგონი, არ გესმის რომ გეძახიო, ეხლა მოვალ და გაკოცებო”.

სირცხვილით დავიწვი, არ ვიცოდი რა მექნა, ხმას ვერ ვიღებდი. მეორე აგულიანებდა და იცინოდა -
“ მიდი მიდიო” . მერე პირველმა წამოიწია ჩემკენ, ზომაზე ახლოს მოვიდა და თავზე დამადგა, სული მეხუთებოდა. მიძახდა: “როცა მინდა მაშინ გაკოცებ, შენ თუ არ მაკოცნინებო.”

სირცხვილი

არ ვიცოდი, გამწარებული უფრო მეტად ვიყავი თუ მრცხვენოდა. ძალიან მრცხვენოდა თითქოს ჩემივე თავის და არ ვიცოდი რა მექნა, მინდოდა საერთოდ გავქრალიყავი იმ წუთას. მხოლოდ ხელით ვიშორებდი და ხმას ვერ ვიღებდი.

საზოგადოების დამოკდიებულება

ტროლეიბუსი სავსე იყო, ხალხი ფეხზეც კი იდგა. ყველას ესმოდა ამათი ხორხოცი, ბევრიც ხედავდა რა დღეში ვიყავი და როგორ ვიტანჯებოდი. ყველა ჩუმად იყო, თვალსაც კი გვარიდებნენ. მერე წინიდან ერთი ბიჭი წამოიწია, მძღოლს დაუძახა სასწრაფოდ გააჩერე ავტობუსიო და ამათ დაუღრიალა - “ჩაეთრიეთო.” პატარა ბიჭი იყო, მაგრამ ფახი ჰქონდა, კარგა გავრიანად შეაშინა. ასე ვთქვათ მიპატრონა იმ ბიჭმა, ესენი ჩაყარა ძირს, მაგრამ ამბავი არ დამთავრებეულა. მერე დანარჩენი მგზავრები დამესხნენ თავს - “გეკოცნინებინა რა მოხდებოდა, რისთვის ატეხე ამბავიო”. აქ სულ დავპატარავდი. ისევ ის ბიჭი წამომეშველა, დაანამუსათ - “როგორ არ გრცხვენიათ, შვილები მაინც არა გყავთო?” ესე დამთავრდა ის მგზავრობა. ისიც ვერ მოვახერხე ჩემი გადამრჩენელისთვის მადლობა გადამეხადა, არადა მან მართლა გადამარჩინა მორალური განადგურებისგან.

რას ურჩევდით სხვებს

ახლა ალბათ ბევრად მეტი გზა არსებობს თავდასაცავად, მე მტერსაც არ ვუსურვებ იმ მდგომარეობას, რაშიც აღმოვჩენილვარ ხოლმე უკონტროლო და უსირცხვილო ადამიანების გადამკიდე. ყველას ვურჩევდი დაიცვან თავისი თავები და სხვებიც, არ დახუჭონ თვალები სხვის შევიწროვებაზე და არ მისცნენ მოძალადეს გასაქანი.

ისტორია #4: ძალადობა ოჯახში

რესპონდენტი საქართველოს ერთ-ერთი რაიონდან, 38 წლის

ძალადობა ოჯახში

ოჯახი რომ შევქმენი, პატარა არ ვყოფილვარ, მაგრამ ამას არ აქვს მნიშვნელობა, ნებისმიერი ასაკის ადამიანმა შეიძლება შეცდომა დაუშვას თურმე. ძალიან ნაჩქარევად გადავდგი ეს უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი. გაცნობიდან ერთ თვეში დავქორწინდით. გაცნობის დღიდანვე მაოცებდა თავისი მჭევრმეტყველებით, გარეგნობით , ინტელექტით, სიურპრიზებითა და ორიგინალურობებით. მეც ვიფიქრე, იდეალურ ადამიანს შევხვდი-მეთქი და მალევე შემიყვარდა.

ჩემი ოჯახი კარგი სოციალური მდგომარეობით შეიძლება დახასიათდეს, როგორც შემდეგ გაირკვა სწორედ ეს იყო თურმე ის გზა, რამაც ჩემი ყოფილი ქმარი ჩემამდე მოიყვანა. სამედიცინოზე ვსწალობდი და ქორწილის შემდეგ თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად, ჩემს ბინაში. ის არ მუშაობდა. თავიდან ყველაფერი კარგად მიდიოდა. მაგრამ ბავშვის გაჩენის შემდეგ სიტუაცია აირია. როცა მე უნივერსიტეტში მივდიოდი და მას ბავშვის მოვლა უწევდა, არ მუშაობდა და ვერაფერს ვხედავდი ცუდს და გაუგებარს იმაში, რომ ბავშვის მოვლაში მაინც დამხმარებოდა, იქამდე მაინც მიეხედა სანამ მე დავბრუნდებოდი. თავიდან ამ საკითხს დადებითად ეკიდებოდა და იშვიათად თუ გამოთქვამდა პრეტენზიას. შემდეგ აზარტულ თამაშებს მიჰყო ხელი და წაგების მეტს არაფერს აკეთებდა, ფულს ,რა თქმა უნდა, მე მთხოვდა და აქედან დაიწყო სწორედ ჩვენი კამათი, რომელიც შემდეგ ხელჩართულ ჩხუბში გადადიოდა. დრო გადიოდა და ყველაფერი უკეთესობის ნაცვლად უარესობისკენ იცვლებოდა.

ძალადობრივ გარემოში მცხოვრები ბავშვი

ბავშვიც წამოიზარდა და მეტი მოთხოვნებიც უჩნდებოდა, თამაში უნდოდა და როცა მამამისს სთხოვდა რამეს, ის გაღიზიანებული იშორებდა თავიდან ან უარეს შემთხვევაში წაუთაქებდა კიდეც, რაზეც ისტერიკა მემართებოდა და მორიგი ჩხუბის სერია იწყებოდა. ვცდილობდი მდგომარეობა როგორმე გამომესწორებინა, მაგრამ ყველაფერი დღითიდღე უარესდებოდა. როცა სახლში ვბრუნდებოდი, ბავშვი ან დაძინებული მხვდებოდა ან დიდი ხნის ძილისგან თვალებჩასიებული. თურმე, ხელი რომ არ შეეშალა ბავშვს თამაშისას, ძალით აძინებდა და ბავშვს შიშისგან სხვა გამოსავალიც არ რჩებოდა. ამ ქმედებამ

ინტენსიური ხასიათი როცა მიიღო, გადავწყვიტე დაუყოვნებლივ რამე ზომები მიმეღო. ქმართან ჯერ მშვიდად ვცადე დალაპარაკება, მაგრამ ისე იყო გაღიზიანებული რომ პირდაპირ ჩხუბზე გადმოვიდა და უკან რომ არ დავიხიე, როგორც ჩვეულებისამებრ, რადგან აქ საქმე უკვე შვილს ეხებოდა, ხელი დამარტყა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ფიზიკურ შეურაცხყოფაზე გადმოვიდა. ეს ჩემთვის საშინლად შეურაცხმყოფელი იყო და გადავწვიტე პირველივე შემთხვევისთანავე სახლიდან წამოვსულიყავი, იმიტომ რომ მაგას ვერანაირი ძალისხმევით ვერ გავაგდები ჩემი სახლიდან. ვიცოდი, ჩემი მშობლები მხარს დამიჭერდნენ, ამიტომაც გადავდგი ეს ნაბიჯი ესე თამამად. რა თქმა უნდა, ჩემი იმედები გამართლდა მშობლების მიმართ და წამოვედი სახლიდან.

ძალადობის ციკლურობა

3 დღე გავიდა და დამადგა ბოდიშებით, ახსნა-განმარტებებით, საქციელის გამოსწორების დაპირებებით. უარით გავისტუმრე, მაგრამ ყოველდღე გრძლედებოდა მისი ეს საქციელები და მეც თავი დავაჯერე, რომ გულრწფელი იყო, თან ბავშვსაც ენატრებოდა მამა და დაბრუნება გადავწყვიტე. პირველი ერთი თვე ყველაფერი იდეალურად იყო, მაგრამ შემდეგ ისევ თავიდან დაიწყო ყველაფერი. ჩემთვის აუტანელი იყო ეს სიტუაცია, თან როცა პარალელურად ვსწავლობდი, თან სამედიცინოზე და საკამოდ მოწადინებული სტუდენტიც ვიყავი. ჩვეული ჩხუბი უკვე ცემაში გადაიზარდა. ამ სცენის მერე იმდენად გადასხვაფერდებოდა, რომ მეგონა სხვა ადამიანი იდგა ჩემ წინაშე - მეფერებოდა, პატიებას მთხოვდა, ტიროდა კიდეც და იმდენად შემაცოდებდა ხოლმე თავს, რომ დალურჯებამდე ცემის შემდეგაც კი ვაპატიე. გავიდა დრო, ამჯერადაც როგორც ყველა ჩხუბის შემდეგ კარგად მიდიოდა ყველაფერი. ბოლო ერთი თვის განმავლობაში უნივერსიტეტში გადატვირთული რეჟიმის გამო სახლში მოსვლა მაგვიანდებოდა და ვუხსნიდი რატომაც მაგვიანდებოდა, თავიდან იგებდა, მაგრამ ბოლო დღეს, როცა დამაგვიანდა ისეთი სახით დამხვდა სახლში, რომ ვიცოდი კარგი დღე არ დამადგებოდა. არც კი მაცადა რამის ახსნა ისე დამარტყა, მაგრამ ამჯერად მხოლოდ დარტყმას არ დასჯერდა, იარაღით დამადგა და მოკვლით მემუქრებოდა.

ჩარევის აუცილებლობა - ძალადობა არ უნდა დარჩეს ოჯახში

მე ყვირილი დავიწყე, ჩემს ყვირილზე მეზობლებმა შემოანგრიეს კარი და სიკვდილს გადამარჩინეს. მაშინ ზუსტად გადავწყვიტე, რომ მე მასთან არც ერთი წუთით არ გავჩერდებოდი, არც ერთ შემთხვევაში. ჩემს თავს ვერ მივცემდი უფლებას ჩემი შვილი ასეთ გარემოში გაზრდილიყო. ამჯერად ის სახლიდან გავაგდე. ძალიან დიდი

მადლობელი ვარ ჩემი მშობლების, რადგან გვერდში დამიდგნენ და თავი უმწეოდ არ მაგრძნობინეს. იმდენად დიდი ფსიქოლოგიური ტრავმა იყო ეს ჩემთვის, რომ კარგა ხანს დეპრესიიდან ვერ გამოვედი, მაგრამ მეგობრების, მშობლებისა და საკუთარი თავის შემართებით ფეხზე წამოვდექი, მე ვიცოდი, რომ შვილი უნდა გამეზარდა და ყველაფერი მეცადა იმისთვის, რომ მისთვის ის საშინელი კადრები დამევიწყებინა, რაც ამ ხნის განმავლობაში ქონდა ნანახი.

ცხოვრება ძალადობის შემდეგ

რამდენიმე ხნის გასვლის შემდეგ შევძელი ჩვეულ რეჟიმში ჩავმდგარიყავი. ის ისევ ცდილობდა ჩემამდე მოსვლას, მაგრამ მე მას ყველა ჩემამდე მოსასვლელი გზა გადავუჭერი და საბოლოოდ იურიდიულად გავეყართ ერთმანეთს. შვებით ამოვისუნთქე და უფრო შემართებით გავაგრძელე ცხოვრება. წარმატებით დავამთავრე ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც. პარალელურად ვცდილობდი სამაგალითო შვილი გამეზარდა და დღემდე ვცდილობ ამას და მგონი გამომდის. არაფერი დაკლებია ჩემს შვილს, არც უმამობა უგვრძნია, მაგასაც ვითავსებ და შევითავსებ კიდეც სანამ ფეხზე ვდაგვარ, რადგან მამამისს განშორების შემდეგ არც ერთხელ ჰქონია შვილის ნახვის სურვილი. მე დღეს ვარ შემდგარი ქალი, მაქვს ჩემი პროფესია და ვარ ყველაფრით უზრუნველყოფილი, ვცხოვრობ მშვიდად და ბედნიერად და მივიჩნევ, რომ ბედნიერებისთვის სულაც არ არის საჭირო გვერდით მამაკაცი, მითუმეტეს მოძალადე მამაკაცი.

რას ვურჩევდი სხვებს

მინდა, ყველა იმ ქალს მივმართო, ვინც ერთხელ მაინც გამხდარა ძალადობის მსხვერპლი, რომ არც ერთი მამაკაცი არ ღირს იმად მისგან სილა ავიტანოთ, არცერთი არ არის შანსის მიცემის ღირსი. ცხოვრება იმისთვისაა, რომ იყოთ ბედნიერები და არა იმისთვის, რომ მოძალადეებს შესწიროთ და შიშის ქვეშ იყოთ. არ იცხოვროთ მოძალადესთან იმის შიშით ,,მეზობლები რას იტყვიან“, „ნათესავები რას იფიქრებენ“, „შვილს როგორ ავუხსნა“, პირიქით, სწორედ შვილის ბედნიერებისთვის და და მისი სწორად აღზრდისთვის უნდა გადადგათ ეს ნაბიჯი. არ მოითმინოთ! არ შეგეშინდეთ! იყავით ბედნიერები, იმსახურებთ!

ისტორია #5: სექსუალური შევიროვება საზოგადოებრივ ტრანსპორტში

რესპონდენტი თბილისიდამ 21 წლის

სექსუალური შევიწროვება საზოგადოებრივ ტრანსპორტში

უნივერსიტეტში წასასვლელად საზოგადოებრივ ტრანსპორტში ავედი, დავინახე პირველი ორი სავარძელი თავისუფალი იყო და პირდაპირ დავჯექი, არავისთვის შემიხედავს. ხუთი წუთის შემდეგ ვიგრძენი, რომ ქურთუკის ქუდზე რაღაც მეხებოდა. მივრუნდი და დავინახე, რომ ახალგაზრდა ბიჭი იჯდა ჩემს უკან და ისევ მოვბრუნდი. ვიფიქრე, ალბათ, ხელი მოუხვდა-მეთქი. არ გასულა ორი წუთი, რომ იგივე ვიგრძენი. ოღონდ უფრო უხეშად. ამჯერად მიხედვის მომერიდა. ცოტა ხანში უკვე თმებზე შეხებასაც ვგრძნობდი, თან საკმაოდ უხერხულად, ამიტომ უცაბედად შევხედე უკვე შეშინებულმა, მეგონა მიხვდებოდა რომ მისი საქციელი მეუხერხულა. იმან კი თავი ჩასწია, თითქოს არაფერს აკეთებდა, ამიტომ სკამიდან ცოტა წინ გავიწიე. თან ადგომაც მერიდებოდა, მაგრამ ის პიროვნება იმის მაგივრად, რომ გაჩერებულიყო ჩემი სკამის საზურგისკენ მოიწია და თავი დააყრდნო, მაინც მწვდებოდა და ხელებს აშკარად უხერხულად მადებდა.

რეაქცია სექსუალურ შევიწროვებაზე

ამის ატანას კი ნამდვილად აღარ ვაპირებდი. მივუბრუნდი და ხმამაღლა ვუთხარი: „ ხელები გაწიე, თორე ჩახვალ მეთქი“. საბედნიეროდ, ავტობუსში აღმოჩნდა ადამიანი, ვინც დამეთანხმა და უთხრა: „ სამჯერ შემოგხედაო და ვერ მიხვდი რომ უნდა გაჩერდეო?“ ბიჭმა კი თავის მართლება დაიწყო: „არაფერს ვაკეთებდიო...“ დაიბნა, გაწითლდა და ვფიქრობ გაუკვირდა, რომ არ მოვითმინე და ხმა რომ ამოვიღე... ყველაზე გასაკვირი კი ის იყო, რომ არავის ხმა არ ამოუღია და არაფერი უქვამს ამ ბიჭის საქციელზე.. ანუ მომხდარ ფაქტზე თვალი დახუჭეს... შემდეგ მე სხვა სკამზე გადავჯექი. შემდეგ გაჩერებაზე კი სხვა ახალამოსული მგზავრი ქალი დაჯდა იმ ადგილას და მასაც მსგავსად მოექცა. როგორც ჩანს, ამ პიროვნებითვის ეს ქცევა ჩვეულებრივი იყო და ჩვენს მსგავსად ექცევა ყველა ქალს.

დაუცველობის განცდა

ამ დროს ყველაზე დაუცველად ვიგრძენი თავი, როცა გავაცნობიერე, რომ ვითომ და ასეთ ჩვეულებრივ სიტუაციაში მოხდა ძალადობა და მიუხედავად იმისა რომ სხვებმაც დაინახეს, ხმა არავინ ამოიღო.

ვიღაცისთვის ეს შეიძლება უბრალო შეხება იყოს და ხმაც არ ამოიღოს მაგრამ, მე თავს დამცირებულად და შეურაცხყოფილად ვგრძნობდი.

ამ ფაქტს რომ ვიხსენებ და მერე ჩემს რეაქციას, უფრო თავდაჯერებული ვხდები, იმიტომ რომ მე ამ ფაქტზე თვალი არ დავხუჭე, არ მიფიქრია, სხვები რას იტყოდნენ და ასე შემდეგ... პირიქით ვისწავლე, რომ თუ რაღაც ქცევა, შეხება ან ჟესტი სრულიად უცხო პიროვნებისგან მოდის და შენ ეს ფაქტი გეუხერხულება და შენთვის არაა მოსაწონი, არ უნდა გაჩუმდე ხალხის მოსალოდნელი რეაქციის გამო... პირიქით უნდა თქვა და ყველანაირ ძალადობის მცდელობას წინ აღუდგე...

რას ვურჩევდი სხვებს

თავიდან ძალიან ცუდად იმოქმედა ამ ფაქტმა ჩემზე. მთელი დღე ცუდად და დაჩაგრულად ვგრძნობდი თავს, მაგრამ მერე დავფიქრდი და მივხდი რომ ნებისმიერი სიტუაციიდან ვსწავობთ რაღაც კარგს. მე ვამაყობ რომ არ შემრცხვა და ხმა ამოვიღე...

ამის გაცნობიერების შემდეგ უფრო თავდაჯერებული და უშიშარი გავხდი... ამიტომ ყველას ვურჩევ, ვინც მსავს ან უარეს სიტუციაშია არ გაჩუმდნენ, სხვების არ მოერიდოთ და თქვან, რადგან როცა იტყვიან მათი ცხოვრება სწორედ იმ მომენტში შეიცვლება უკეთესობისკენ.

ძალადობა არასოდეს უნდა დარჩეს თვალს მიღმა და მითუმეტეს უთქმელი...

ისტორია #6: ადრეული ქორწინება

ადრეული ქორწინება

ჩვიდმეტი წლის ვიყავი. სკოლა არც კი მქონდა დასრულებული, როცა ჩემ მეგობართან გავიცანი ჩემი ყოფილი ქმარი. ექვსი თვე შეყვარებულები ვიყავით, ჩემგან შორს ცხოვრობდა, მაგრამ ხშირად ახერხებდა ჩემს სანახავად მოსვლას. ძალიან ბევრი რამ მომწონდა მასში, მისით მოვიხიბლე. ისიც ჩვიდმეტი წლის იყო. ყოველ შეხვედრაზე

გეგმებს ვაწყობდით, თუ რა შეიძლება გაგვეკეთებინა, რომ ჩვენი ცხოვრება იდეალური თუ არა ამასთან მიახლოებული მაინც ყოფილიყო. ექვსი თვის შემდეგ გადავწყვიტეთ გავპარულიყავით. რატომ გადავწყვიტე ეს? ალბათ ყველას გაგიჩნდებათ ეს კითხვა, იმიტომ რომ ძალიან ხელმომჭირნე ოჯახში ვცხოვრობდი და ვფიქრობდი, რომ უკეთეს გარემოში ვიცხოვრებდი და ბედნიერი ვიქნებოდი მასთან. ამას გარდა მამაჩემი ხშირად სვამდა და ოჯახში მუდამ დაძაბულობა და კამათი იყო. ყოველდღიურობა ჩემთვის უკვე ძალიან მოსაბეზრებელი გახდა და თან ჩემი ყოფილი მეუღლის სურვილი იყო, რომ ერთად გვეცხოვრა და ასეც მოხდა. მისი ოჯახის წევრები ასე თუ ისე მიცნობდნენ, მულს ხშირად ვხვდებოდი კიდეც და მანაც კარგად იცოდა ჩემი ხასიათი. ვერ ვიტყვი იმას, რომ ოჯახმა ცუდად მიმიღო. არა მასე ნამდვილად არ იყო, პირიქით თავდაპირველად თითქმის ერთი წელი ყველა ზრუნავდა ჩემზე, თავს მევლებოდნენ, მაგრამ ეს ყველაფერიც მოჩვენებითი აღმოჩნდა.

„დაგვიანებული“ ორსულობა როგორც ქალის დანაშაული

ორი წელი ფეხმძიმედ ვერ ვრჩებოდი და ამაზე უკვე აგრესია წამოვიდა მულის და დედამთილის მხრიდან, ჩემს ყოფილ ქმარს ეუბნებოდნენ, რომ უშვილო ვიყავი, რომ რაღაც პრობლემები მქონდა და იმასაც ეუბნებოდნენ, რომ ცუდი არჩევანი გააკეთა, რადგან ჩემზე დაქორწინდა. ამასობაში აღმოჩნდა, რომ ძალიან სუსტი ვიყავი, ვერ ვუწევდი წინააღმდეგობას, ვერ ვეუბნებოდი რომ ექიმთან წავეყვანე და უბრალოდ გაგვერკვია რა ხდებოდა. ბოლოს დედამთილმა სურვილი გამოთქვა - “ამ გოგოს ექიმთან წავიყვან და საბოლოოდ გავიგებთ რა ხდებაო. “

„შინაპატიმრობა“ და იზოლაცია

ჩემი მშობლები ჩემგან შორს ცხოვრობდნენ და სულ რიდი ჰქონდათ იმის, რომ ჩემს სანახავად ჩამოსულიყვნენ და არც საშუალებას მაძლევდნენ რომ სკაიპით ან რაიმე საშუალებით მათთან კონტაქტზე გავსულიყავი. ტელეფონზეც იშვიათად მალაპარაკებდნენ, მონა ვიყავი სახლში. დედამთილი და მამამთილი სახლიდან მთელი დღე გასულები იყვნენ. ოჯახის ბიზნესი ჰქონდათ და ბაზარში იყვნენ მთელი დღე, მულმა უნივერსიტეტში ჩააბარა და ისიც ვერაფერში მეხმარებოდა. ყოველი დღე ჩემთვის ძალიან უაზრო და ერთფეროვანი გახდა, ჩემმა ყოფილმა ქმარმა, სამშენებლო კომპანიაში დაიწყო მუშაობა. ფაქტობრივად მთელი დღეები სახლში მარტო ვიყავი, ყველაფერს ვაკეთებდი, რომ სახლში დაბრუნებული ოჯახის წევრებისთვის ყველაფერი მოწესრიგებული დამეხვედრებინა მაგრამ ამაოდ. ეს მაინც არ მიფასდებოდა, ყოველთვის მათზე

ვზრუნავდი და არასოდეს დავიწუწუნებდი არაფერზე, რომ არ შემეწუხებინა ზედმეტად. რა მტკიოდა, რაზე ვნერვიულობდი, რას განვიცდიდი ამას არავინ მეკითხებოდა.

რამოდენიმეჯერ შემთხვევით მოვისმინე დედამთილის და მულის საუბარი, იმის შესახებ რომ უცოდინარი ვიყავი, რომ არაფრის გაკეთება არ შემეძლო და კიდევ ვერ მოვახერხე ის, რომ უნივერსიტეტში ჩამებარებინა, მაშინ როცა პატარა მყავდა სახლში და მთელი დღე მის მოვლასა და სახლის მოწესრიგებაში გადიოდა, არავინ დამხმარე არ მყავდა, ყველაფერს დამოუკიდებლად ვაკეთებდი. ამასაც ვითმენდი, უამრავი ღამე ტირილში გამიტარებია, მაგრამ ამას ვერავინ ხედავდა. ალბათ გაინტერესებთ, ამ დროს ჩემი მეუღლის პოზიცია, ერთხელ ვუთხარი, რომ ჩემზე ცუდ რამეებს ლაპარაკობდნენ და მეჩხუბა - „შენ მოიგონე ყველაფერი და სახლში ყოფნამ მგონი ჭკუაზეც შეგშალაო“. აქ მივხვდი რომ უკვე აგრესიული გახდა და ჩემს მიმართ გრძნობებიც შეეცვალა, რადგან ყოველ ღამეს სახლში რომ ბრუნდებოდა არც კი ჭამდა, მაშინვე დასაძინებლად მიდიოდა, პატარას არც კი ეფერებოდა. მამამთილს ვუთხარი - “ძალიან შეიცვალა მისი დამოკიდებულება არ მომწონს, არც თქვენ გექცევათ კარგად, სულ ცდილობს თვალი აგარიდოთ და აღარც კი გელაპარაკებათ, რაც სამსახურში დადის-მეთქი.” მამამთილის პასუხიც არ იყო სასიამოვნო, მითხრა ალბათ ძალიან იღლება და შენ რაღაცები გეჩვენებაო. ძალიან კარგად ვხვდებოდი, როგორ იცვლებოდა ყოველ დღე, როგორ ცივდებოდა ჩვენს შორის გრძნობები, მაგრამ ბავშვის გამო ყველაფერს ვითმენდი.

მოჩვენებითი ბედნიერება

ვცდილობდი ზაფხულში რამოდენიმე თვე ჩემს მშობლებთან ჩავსულიყავი, რომ ფსიქოლოგიურად იქ მაინც დამესვენა, მაგრამ არასოდეს შემიმჩნევია, რომ ბედნიერი არ ვიყავი ჩემს ოჯახში. პირიქით ყველამ იცოდა, რომ ძალიან კარგ ოჯახში გავთხოვდი და ყველა თავს მევლებოდა. ხუთი წელი ვიცხოვრეთ სულ ერთად და ეს ხუთი წელი ახლა რომ ვფიქრობ ყველაზე საშინელი წლები იყო ჩემს ცხოვრებაში. ერთადერთი რაც მახარებს და ყოველდღიურობას მილამაზებს ეს არის ჩემი გოგონა, რომელიც ყოველ დღეს უფრო მრავალფეროვანს ხდის. ის ამ ყველაფერს ვერც კი აანალიზებდა რადგან ძალიან პატარა იყო, მაგრამ მამა მის მიმართ, რომ არ გამოხატავდა გრძნობებს, ვერც კი ხედავდა ხშირად ამას პატარები გრძნობებ და განიცდიან. ბოლო ერთი წელი რაც ერთად ვიცხოვრეთ, მულის მხრიდან სასტიკ აგრესიაში გადაიზარდა, მეუბნებოდა რომ” ხომ ხედავ შენს ქმარს არც კი სჭირდები და ჯობია რომ წახვიდე და შენ შენს ოჯახთან ერთად იცხოვრო, შენ ამ ოჯახში აღარაფერი დაგრჩენია. ეს ოჯახი ჩემია და მე უნდა ვიცხოვროი”. ამ ხუთ წელში ისიც გათხოვდა და სიძეც ჩვენს სახლში ცხოვრობდა. მის აგრესიას არ ვაქცევდი ყურადღებას, ღამ-ღამობით ჩემთვის ვტიროდი, მაგრამ ამ გულის ტკივილს არავის

ვუყვებოდი. ჩვენთან მეზობლად ქმრის ნათესავები ცხოვრობდნენ და როცა სახლში საქმე არ მქონდა მათთან მივდიოდი რომ ცოტა გამეხალისებინა პატარა და მეც დრო როგორმე გამეყვანა. რამოდენიმეჯერ ისე დაემთხვა რომ ჩემი ყოფილი მეუღლე სახლში ადრე დაბრუნდა და რომ არ დავხვდი მე ამაზე ძალიან გაბრაზდა. სახლში რომ დავბრუნდი ყვირილი დამიწყო და პირველად მაშინ დამარტყა, რადგან უბრალოდ ვუმტკიცებდი რომ ნათესავთან დროის გასაყვანად გავედი. ამას ისიც დაემატა რომ ღამ-ღამობით ტელეფონს მალავდა და ეს რომ შევნიშნე ვუთხარი, რატომ აკეთებ_მეთქი, რაზეც მიპასუხა რომ, ჩემი საქმე სახლის და ბავშვის მიხედვა იყო და მეტი არაფერი.

ძალადობის კულმინაცია

ბოლოს მანქანა იყიდა და სახლში მოსვლაც აღარ უნდოდა ისე იყო, მივხვდი რომ ვიღაც ყავდა, რადგან რამოდენიმეჯერ მისი შეტყობინება წავიკითხე, გოგონას წერდა რომელმაც ალბათ ჩვენი (ჩემი და ჩემი გოგონას) შესახებ არც კი იცოდა. ერთ დღეს, შუაღამეს დაბრუნდა და თან ნასვამი იყო მაშინ ძალიან ვიჩხუბეთ, ვკითხე სად ხარ ამ დრომდე, ან რა სამსახური გაქვს რომ ამ დროს დაასრულე-მეთქი. მან ცემა დამიწყო, თმით მათრია. გარეთ გამიყვანა, მუხლებზე დავარდნილი მათრია და საბარგულში ჩამაგდო, არ ვიცი რამდენი ხანი მაგრამ სახლიდან მოშორებით წამიყვანა ისე, რომ არავინ იცოდა სად ვიყავით. გადმომათრია და სიცივეში ძირს დამაგდო. თვითონ მანქანა შორს გაიყვანა და შიგნით იჯდა, არც კი გადმოსულა. შუაღამე იყო და ვერც ვერავის დახმარებას ვერ ვთხოვდი. ვტიროდი ხმამაღლა. ერთი რაც მოვახერხე, ის იყო რომ ჩემს დას დავურეკე და ვუთხარი ყველაფერი, რაც მოხდა და ისიც ვუთხარი, რომ აღარ ვაპირებდი ამ ადამიანეთან გაჩერებას. მან ყველაზე მეტად განიცადა ჩემი ამბავი, დავაფიცე რომ ეს არავისთვის ეთქვა. იმდენად განიცადა რომ ჩამოსვლა უნდოდა მეორე დღესვე, მაგრამ ვუთხარი, რომ ჯობია ყველაფერი ჯერ ოჯახში გაგვერკვია და მერე ჩამოსულიყო ჩემს წასაყვანად. არ ვიცი ზუსტად საათი მაგრამ, ალბათ, 2-3 საათი ქუჩაში მარტო ვიყავი შუაღამეს, ყველასგან შორს და ჩემი ყოფილი ქმარი კი თბილად ჩემგან მოშორებით მანქანაში იჯდა. არც არავის დაურეკავს ოჯახის წევრებიდან, რომ ეკითხათ მაინც რა მოხდა. როცა ჩემს დას ველაპარაკებოდი ამ დროს მოვიდა ჩამსვა მანქანაში, ტელეფონი გამომართვა და ჩემს დას უთხრა, რომ არაფერი ხდებოდა და ტელეფონი გათიშა.

მეორე დღეს, როცა საშინელ დღეში მნახეს ოჯახის წევრებმა ვუთხარი რომ მე ამ ოჯახში გამჩერებელი არ ვიყავი და ჩემმა ყოფილმა ქმარმა, უთხრა რომ ერთმანეთი არ გვიყვარს და თავის ოჯახში ვაბრუნებო, არც კი მომცა უფლება რომ ბავშვის ტანსაცმელი მაინც ჩამელაგებინა. აიყვანა ბავშვი, ჩასვა მანქანაში და წასასველად მოემზადა. ვუთხარი,

რომ კარგად დაფიქრებულიყო, რომ ბავშვი ამ ფონზე ძალიან ცოდო იყო, მისი ფსიქიკა ზიანდებოდა მაგრამ არც კი მომისმინა. კიდევ მე ვცადე ყველაფრის გამოსწორება, მაგრამ აზრი ? მას არავინ და არაფერი არ აინტერესებდა. მე ჩემი მეობა და ღირსება ფეხქვეშ გავთელე, ყველაფერს ვაკეთებდი მისი ბედნიერებისთვის, მაგრამ თურმე არაფერს აზრი არ ქონდა. ჩამიყვანა ჩემს ოჯახში. ვერც კი წარმოიდგენდნენ მსგავს რაღაცას ჩემი ოჯახის წევრები, მაგრამ ამ მდგომარეობაში, რომ დამინახეს ამან ყველაფერი შეცვალა. მამაჩემმა ამდენი წელი ამ ადამიანთან როგორ გაჩერდი, მას ვეღარ შეურიგდებიო და აქ დასრულდა ყველაფერი, რადგან თვითონ დაგაბრუნაო.

პოსტტრავული სტრესი

პირველი ერთი კვირა ამ ყველაფერთან შეგუება საშინელება იყო, ჩემი გოგონა წლის და თვეების იყო ამ მდგომარეობაში რომ მხედავდა არაფერს არ ჭამდა, არავის ელაპარაკებოდა, ამ ყველაფერმა მასზე სერიოზული ზემოქმედება მოახდინა. ერთი თვე მდგომარეობიდან ვერ გამოვედი ქუჩაში რომ გავდიოდი, ყველა ჩემზე ლაპარაკობდა, თუ რა მდგომარეობაში მიწევდა ცხოვრება და მთავარი განსახილველი თემა ჩემი ისტორია აღმოჩნდა მათთვის. მერე ჩემს ყოფილ ქმარს უთქვამს მისი ნათესავებისთვის რომ თურმე მას ვღალატობდი და ამიტომ დამაბრუნა სახლში. მაშინ როცა სახლიდან გარეთ არ გავდიოდი.

ცხოვრება ძალადობის შემდეგ

ასე დასრულდა ჩემი ტრაგიკული ისტორია, მაგრამ ამან ჩემს ცხოვრებაში ძალიან ბევრი რამ შეცვალა, გავძლიერდი ისე რომ არავის მივცემ ახლა უფლებას დამჩაგროს, რამოდენიმე თვეში მუშაობა დავიწყე ერთ-ერთ სუპერმარკეტში და ახლაც აქ ვმუშაობ. ძალიან კარგ გარემოში ვარ და მეც ამ ყველაფერმა მასწავლა როგორ დავიცვა საზოგადოებისგან თავი, როგორ გავუმკლავდე პრობლემებს და როგორ ვიყო ძლიერი. ჩემი შვილი ბაღში შევიყვანე და ყოველდღე უფრო და უფრო ვძლიერდები. ახლა ვხვდები, როგორი სუსტი ვიყავი როცა ყველაფერზე თვალს ვხუჭავდი და ამდენი წელი მხოლოდ იმიტომ ვუძლებდი ამდენ ტკივილს, რომ ჩემს შვილს კარგი მომავალი ჰქონოდა მაგრამ არა, აღმოჩნდა რომ კარგი მომავალის შექმნა დამოუკიდებლადაც შემიძლია. მერე რა რომ მე-9 კლასის ატესტატი მაქვს მხოლოდ, მერე რა რომ უნივერსიტეტის კურსდამთავრებული არ ვარ. ახლა ისეთი ძლიერი ვარ, ჩემი და ჩემი შვილის მომავლისთვის ყველაფერს გავაკეთებ, ვგეგმავ რომ პროფესიულ სასწავლებელში რაიმე პროფესიას დავეუფლო და ჩემს შვილს კარგი მომავალი შევუქმნა. პირად ცხოვრებაზე

ვერც კი ვფიქრობ, უბრალოდ შინაგანად ტკივილი ისევ მოუშუშებელია, გარედან ჩანს რომ ყოველთვის ბედნიერი ვარ, რადგან მას შემდეგ სულ ვიღიმი, საზოგადოებას ხომ არ აინტერესებს ჩვენი ტკივილი, ყველას თავისი გზა აქვს და ამ გზაზე სიარული უნდა ვისწავლოთ ყოველდღე, რომ ბედნიერი მომავალი ჩვენი ხელებით შევქმნათ და მე ყველაფერს გავეკეთებ, რომ ეს ტკივილნარევი და ცრემლნარევი წლები დავივიწყო საბოლოოდ და ჩემს შვილს ისეთი მომავალი შევუქმნა, რომ მან მსგავსი ტკივილი არასოდეს განიცადოს.

ისტორია #7: ძალადობა ოჯახში

ძალადობა ოჯახში

ყოველთვის მეგონა, რომ თუ ადამიანებს ერთმანეთი უყვარდათ და ამ სიყვარულის ფონზე ქორწინდებოდნენ მთელი ცხოვრება ბედნიერები იქნებოდნენ და ეს სიყვარული იმდენად მყარი იქნებოდა რომ სიკვდილამდე გაჰყვებოდათ, მაგრამ დღეს ვხვდები, რომ ეს მხოლოდ ჩემი სუბიექტური შეხედულება და აზრი ყოფილა, რადგან დღეს მე ამ ისტორიას სულ სხვა გადმოსახედიდან მოგიყვებით, ისე როგორც შვილ-მკვდარი მიტოვებული დედა და გოგო, რომელსაც დღემდე სტკივა ის მოუშუშებელი იარა, რასაც ძალით მოკლული შვილის ტკივილი ქვია. მიყვარდა, ძალიან მიყვარდა. მეგონა, რომ მის გარეშე ვერასოდეს გავძლებდი, ეს არანორმალური სიყვარული იყო, რომელიც 20 წლის ასაკში მეწვია. პატარა არ ვიყავი უკვე ცხოვრების რაღაც მცირე ნაწილი გავლილი მქონდა, არასოდეს არავინ მყვარებია და ცხოვრებაში პირველად მივხვდი და ვიგრძენი ის სიყვარული, რომელიც ყოველ დღე უფრო და უფრო ძლიერდებოდა.

ჩვენ ერთმანეთი უნივერსიტეტის მეორე კურსზე ერთ-ერთი საგნის გამოცდაზე გავიცანით. მე ყოველთვის კარგად ვსწავლობდი და ვცდილობდი ყველას დავხმარებოდი როგორც შემეძლო. ალბათ ესეც ბედის ამბავია. ცოტა არ იყოს მეღიმება ხოლმე კიდეც ამაზე ეს ბიჭი, რომელიც შემდგომში ჩემი მეუღლე გახდა, ჩემს გვერდით აღმოჩნდა ამ გამოცდაზე. როცა წერა დავიწყე, შევნიშნე, რომ გაუნძრევლად იჯდა, არც კი წაუკითხავს გამოცდის საკითხები. მივხვდი, რომ არ იცოდა არაფერი და ჩუმად ვუთხარი ჩვენ მგონი მსგავსი საკითხები გაქვს და დაგეხმარები უბრალოდ არაფერი შეიმჩნიო-მეთქი. ჯერ მას დავაწერინე თითქმის ყველა საკითხი. ის ადრე

გავიდა და შემდეგ გავაგრძელე ჩემი ტესტის დაწერა. აუდიტორიიდან, რომ გამოვედი გარეთ მელოდებოდა, ხელი გამომიწოდა, ერთმანეთი გავიცანით და მთხოვა რომ ერთად სადმე წავსულიყავით, თავიდან ძალიან მეუცნაურა, მაგრამ მითხრა ახლა მხოლოდ ასე თუ შემიძლია, რომ მადლობა გადაგიხადო და შემდეგში გპირდები, რომ შენი დახმარება აღარ დამჭირდება და დამოუკიდებლად დავწერ ყველაფერსო. ბევრი თხოვნის მერე წავედით და ერთად ვისადილეთ. ამ დღემ ასე ჩაიარა, მითხრა სოციალურ ქსელში დაგამატებ და ხშირად გადაგიხდი მადლობას ამ დღისთვისო, მეც გულუბრყვილო გოგო ვიყავი და ვუთხარი, რადგან ამ საგანზე ნახევარი წელი კიდევ ერთად უნდა ვიყოთ ცუდად გამომივა უარის თქმა ამიტომ გეტყვი-მეთქი. გავიდა დღეები თითქმის ყოველ დღე მწერდა, მკითხულობდა. რამოდენიმეჯერ ლექციის შემდეგ ერთად წავედით სხვადასხვა ადგილას, ამ დღეებს რომ ვიხსენებ ყველაზე ბედნიერი დღეები იყო ჩემს ცხოვრებაში. ერთი თვის მერე ნომერი მთხოვა და თითქმის ყველაფერი ვიცოდით ერთმანეთის შესახებ. ისე დავუახლოვდით ერთმანეთს რომ უკვე ამ საგანზე ერთად ვმეცადინეობდით, ყოველ დღე ვხვდებოდით ერთმანეთს და რამოდენიმე თვეში უკვე შეყვარებულები ვიყავით. აღმოჩნდა, რომ ამ ყოველდღიურობამ ერთმანეთს ისე მიგვაჯაჭვა, რომ ვეღარ ვძლებდით ერთმანეთის გარეშე ყველგან ერთად დავდიოდით. გავიცანით ერთმანეთის ხასიათი, იშვიათად ვკამათობდით და ეს ყოველთვის გვიკვირდა.

ერთი წელი შეყვარებულები ვიყავით და ბოლოს გადავწყვიტეთ, რომ ერთმანეთს სამუდამოდ დავკავშირებოდით. ჩემმა მშობლებმა ყველაფერი იცოდნენ მის შესახებ, ისევე როგორც ჩემი მეუღლის მშობლებმა. ხშირად დავდიოდით ერთმანეთის სახლში. ისიც დედისერთა იყო და მეც, ამიტომ ჩვენი მშობლები არასოდეს არაფერს გვიშლიდნენ, ყველა ხედავდა ჩვენს ძლიერ სიყვარულს. ერთი წლის თავზე ის მოვიდა ჩემს მშობლებთან ,ხელი სთხოვა ჩემი და ერთ თვეში ქორწილიც გვქონდა. ყველაფერი ძალიან სწრაფად მოხდა. მასთან გადავედი საცხოვრებლად, რადგან ჩემი მეუღლის სურვილი იყო, რომ თავიდან მის მშობლებთან ერთად გვეცხოვრა და შემდეგ გადავსულიყავით ცალკე საცხოვრებლად. რამოდენიმე თვე ძალიან კარგად იყო ყველაფერი.

გოგო შვილის მოლოდინი

მე და ჩემმა მეუღლემ გადავწყვიტეთ რომ უნივერსიტეტში სწავლა გაგვეგრძელებინა. ყველაფერი კარგად იყო, ერთი თვის თავზე გავიგე, რომ ფეხმძიმედ ვიყავი და ეს ჩემთვის ყველაზე დიდი სასწაული იყო ამქვეყნად. ჩემს სხეულში ვზრდიდი არსებას, რომელიც ჩემი მომავალი იმედი და სიხარული იქნებოდა და რაც

მთავარია ჩემი და ჩემი მეუღლის უზომოდ დიდი სიყვარულის ნაყოფი. ველოდებოდი იმ დღეს, როცა ჩემს პატარას ვნახავდი. ექიმთან მე, ჩემი მეუღლე და ჩემი დედამთილი წავედით. ვერ გეტყვით რა ვიგრძენი, როცა ჩემი პატარა დავინახე. ეს რაღაც არაამქვეყნიური გრძნობა ყოფილა, ჩემს სხეულში ვზრდიდი არსებას, რომელიც ჩემი ყოველი ამოსუნთქვის მიზეზი იყო. ექიმმა პატარა ძალიან კარგადაა და გაინტერესებთ ალბათ გოგოა თუ ბიჭიო და - რა თქმა უნდაო - უთხრა ჩემმა დედამთილმა ეს წყვეტს ამ ბავშვის ბედსო, ეს გამონათქვამი ძალიან მეუცნაურა და არ მომეწონა ჩემს ქმარს შევხედე და მასაც გაუკვირდა. ექიმმა გილოცავ პატარა გოგონას დედა გახდებიო. ჩემთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არ ჰქონდა იმას გოგო მეყოლებოდა თუ ბიჭი მაგრამ უზომოდ გამეხარდა რომ გავიგონე გოგო გვეყოლებოდა. იმიტომ რომ ყოველთვის მინდოდა და ან ძმა მყოლოდა მაგრამ ამის ბედნიერება არ მქონდა და სულ ვამბობდი რომ უფალი რამდენ შვილსაც მომცემს, იმდენს გავაჩენ მეთქი. ამიტომ ვფიქრობდი, რომ ეს არსება ჩემი მარტო ნაწილი კი არა ჩემთვის ყველაფერი იქნებოდა.

საავადმყოფოდან, რომ გამოვედით დედამთილს სახე შეცვლილი ჰქონდა. ჩემს მეუღლეს ვკითხე - რა მოხდა ხომ კარგად არის ყველაფერი-მეთქი და არ ვიცი არაფერი რაც ბავშვის სქესი გავიგეთ მას მერე ასეთი სახე აქვსო. სახლში ისე დავბრუნდით, რომ სიტყვა არც კი უთქვამს მანქანაში. როგორც კი მივედით მამამთილს უთხრა, რომ გოგო გვეყოლებოდა და ცოტა ხნის მერე როცა მე და ჩემი მეუღლე ბავშვის ოთახის მომზადების პროექტზე ვლაპარაკობდით, ოთახში ორივე შემოვიდნენ და ხმამაღალი ხმით განმიცხადეს, რომ ამ ბავშვს მოიშორებ და სულ ტყუილად გეგმავთ რაღაცებსო. ტირილი დავიწყე ემოციები ვერც კი დავმალე, ხმამაღლა ვტიროდი, ვკითხე რას ნიშნავს ვერ გავაჩენ ეს ჩვენი შვილია და არავის არ აქვს უფლება მისი მოშორება მომთხოვოს-მეთქი. ეს ხომ უდიდესი ცოდვაა და თან ჩვენი ძალიან დიდი სიყვარულის ნაყოფია-მეთქი. ჩემი ქმარიც ძალიან გაბრაზდა, იმ ღამეს სერიოზულად ვიკამათეთ, მე ვუთხარი რომ ამ ბავშვს არ მოვიშორებ და ის აუცილებლად გაჩნდება-მეთქი.

სელექციური აბორტი

ის საღამო ასე დასრულდა, ამ დღის მერე აგრესია გაიზარდა ჩემს მიმართ დედამთილის და მამამთილის მხრიდან. ქმარი ამაზე ღიზიანდებოდა და ერთ დღესაც ჰკითხა, რატომ არ გინდათ ეს ბავშვი გაჩნდეს, იმიტომ რომ გოგოა და პირველი ვაჟი შვილიშვილი არ გეყოლებათო და „კი ზუსტად პასუხამდე თავად მიხვედი, ჩვენ გვარის გამგრძელებელი გვჭირდებაო და არა გოგონა რომელსაც გაზრდი და შემდეგ

სხვასთან იცხოვრებს და შენს გვარს ვერ გააგრძელებსო. მოიშორებს ამ ბავშვს და ვიდრე ბიჭი არ იქნება შვილს ვერ გააჩენსო“ - ასე უპასუხეს. ეს იყო ყველაზე მძიმე დღე, რაც კი ცხოვრებაში გამომივლია. ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ ასე შეიძლებოდა შესძულებოდათ ჯერ არდაბადებული ბავშვი, დედამთილმა განმიცხადა ან შენი ფეხით წახვალ და აბორტს გაიკეთებ ან მე ისეთ წამალს ვიყიდი და დალევ რომ თავისით მოგშორდებაო. არ დავუჯერე, ვუთხარი ეს პატარა ჩემი შვილია და მას ვერავინ წამართმევს-მეთქი. ჩემი ქმარი ჩემს გვერდით იყო და ამის გამო სულ კამათი გვქონდა ოჯახში. ფაქტობრივად, ჩემი ორსულობის პერიოდი ნერვიულობაში და ყოველ დღე ტირილში გადიოდა. ჩემი მეუღლე არ მუშაობდა ამიტომ იძულებულები ვიყავით ისევ მათთან გვეცხოვრა. ვიდრე სამსახურს არ ნახავდა, ყოველ დღე ეძებდა, მაგრამ ისეთი ვერაფერი ნახა რომ ხელფასი ჩვენს ყოველდღიურობას, ქირის და კომუნალურების გადახდას გაწვდენოდა. ამიტომ სხვა გზა არ გვქონდა ისევ მათთან დავრჩით.

მას შემდეგ რაც ბავშვის სქესი გავიგე, ექიმთან კონსულტაცია ერთი თვის შემდეგ მიწევდა, ეს ერთი თვე იმდენი ვინერვიულე, რომ მართლა ძალიან მეშინოდა ბავშვს რამე არ დამართნოდა. ხოდა ველოდებოდი იმ დღეს როცა ჩემს პატარას კიდევ ვნახავდი. ექიმთან დავრეკე და ჩევეწერე. გვიანი არ იყო და გადავწყვიტე ჩაი დამელია. იქნებ დავემშვიდებინე და დამეძინა ცოტა ხანი. მოვამზადე და ჩემს ოთახში უნდა შემეტანა, ალბათ 12 საათი იქნებოდა. ჩემს დედამთილს და მამათილს არ ეძინათ მეუღლეს დაუძახეს და რაღაც კითხვებს უსვამდნენ. ახლაც არ ვიცი რაზე ლაპარაკობდნენ, დავინტერესდი და სასტუმრო ოთახში, რომ შევედი ყველა გაჩუმდა. დედამთილი სამზარეულოში გავიდა, ჩემს მეუღლეს ვკითხე - “რა ხდება რაზე ლაპარაკობთ-მეთქი” და არაფერი ბავშვზე ვლაპარაკობდით ყველაფერი კარგადააო მითხრა. სამზარეულოს გავლით იყო ჩვენი საძინებელი, შევედი ჩაი ავიღე და ოთახში წავედით ორივე. ჩაი დავლიე მაგრამ მალე მაინც ვერ დავიძინე ჩემს პატარაზე ვფიქრობდი, როგორ იყო ვნერვიულობდი, რომ იმ დღეების ფონზე რაც გამოვიარე , არაფერი დამართნოდა.

გამთენიისას სისხლდენა დამეწყო. მუცლის საშინელი ტკივილი ვიგრძენი და რომ გამომეღვიძა ყვირილი დავიწყე. მას მერე რა მოხდა არც კი მახსოვს, უბრალოდ გონება დავკარგე და იქ მორჩა ჩემთვის ყველაფერი. როგორც შემდეგში გავიგე ჩემმა ქმარმა მაშინმე საავადმყოფოში წამიყვანა მაგრამ აზრი? ნეტავ არ წავეყვანე, ის ტკივილი საშინელება იყო. არც კი ვიცი რა ვთქვა, როგორ ვთქვა. როგორ გამოვხატო ის ემოცია, რასაც დღემდე ვგრძნობ, მტკივა ისე როგორც აქამდე არაფერი არასოდეს მტკენია. მე

პატარა არსება დავკარგე, გოგონა რომელსაც არაფერი დაუშავებია უბრალოდ მომაშორეს მხოლოდ იმიტომ რომ გოგო იყო და გვარის გამგრძელებელი არ იყო. ბებიამ ასე გადაწყვიტა, რომ საჭირო არ იყო ამ ქვეყნიერებას მოვლინებოდა. ვერც კი ვხვდებოდი რა მოხდა იქამდე ვიდრე ექიმმა არ მითხრა, რომ რაღაც პრეპარატმა, რომელიც მე მივიღე პატარას სიცოცხლე მოუსწრაფა და მე ის დავკარგე. გავიხსენე წინა დღეები და ზუსტად ვიცი, რომ არაფერი ისეთი არ მიმიღია, რაც ჩემს შვილს ავნებდა და მგონია, რომ ეს ყველაფერი იმ ჩაის გამო მოხდა გვიან რომ დავლიე.

ისტორია #8 შევიწროვება სამსახურში

რესპონდენტი თბილისიდან, 50 წლის

შევიროვება სამუშაო ადგილას

მუშაობა დავიწყე ერთ-ერთ უცხოურ კომპანიაში. უცხოელებმა შეამჩნიეს ჩემი პროფესიიონალიზმი და ძალიან კარგად მექცეოდნენ, რაც ძალიან ბევრს არ მოსწონდა. ამ სამსახურში კარგი ხელფასიც მქონდა, მაგრამ აქ მავიწროვებდა ჩემი უფროსი ქალი, რომელიც ეჭვიანობდა თავის ქმარზე. აქაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი გარეგნობის გამო - ლამაზი ვიყავი. ამ დროს შეყვარებულიც ვიყავი ჩემს სხვა თანამშრომელზე და ალბათ განსაკუთრებით ლამაზი მაშინ ხარ როცა გიყვარს. ამ მომენტში სწორედ ამ უფროსის ქმარმაც დაიწყო ჩემს მიმართ სხვანაირი ყურადღების გამოჩენა, რადგან ალბათ ეგონა ჩემთან რამე გაუვიდოდა, მაგრამ ვერ მივართვი. ყურადღებას არც კი ვაქცევდი. როცა ლამაზი ხარ, ჰგონიათ რომ უჭკუო ხარ, მაგრამ როცა შენ წინააღმდეგობას უქმნი მაშინ ისინიც აგრესიულები ხდებიან შენს მიმართ. იფიქრა გავეფლირტავებიო, მაგრამ ეს ჩემთან არ გაუვიდოოდა. ამ დროს კი თავისი ცოლი ცალკე პრობლემად მექცა. ზიზღით აივსო ჩემს მიმართ და ამას აღარც მალავდა. ქმარი ალბათ მართლა ღალატობდა და ეს ქალიც უკვე ყველაზე ეჭვიანობდა, არაადეკვატური ხდებოდა. მიშვებდა ისეთ კონფერენციებზე, რაც ჩემს პრეროგატივაში არ შედიოდა და სპეციალურად მიშვებდა რადგან ჩემი ჩაფლავება უნდოდა. ერთხელ როცა მივედი კონფერანციაზე მომიტანეს ზღვა მასალა, მაგრამ ამასაც გავართვი თავი, მაგრამ მესამე ბლოკის მასალა საერთოდ არ მოუტანიათ, რადგან სპეციალურად ჩემი შერცხვენა უნდოდა. ასევე მაძლევდა უამრავ სათარგმნს და სხვებს - ჩემს მესამედს.. ისეთ პირობებს მიქმნიდა, რომ გამჭირვებოდა და წამოვსულიყავი. მაგრამ მე ეს სამსახური ისე მჭირდებოდა ვერანაირად ვერ წამოვიდოდი. არადა მა ჩემი ეკონომიკური მდგომარეობა მშვენივრად იცოდა.

იმდენად ეჭვიანობდა ეს ქალი, რომ კორპორატიულზე ჩემს შეყვარებულსაც ვერ ვეცეკვე, მეშინოდა ყველაფრის და არ ვიცოდი რისი მეშინოდა... ვიმიზეზებდი ათას მიზეზებს და ჩემთვის ვიჯექი მარტო. მეშინოდა, რომ მეცეკვა ამ თავის ქმარს რამე არ გაეკეთებინა, არ ვიყავი მის ქცევაში დარწმუნებული. უკვე ისე ვიყავი ლამაზად ჩაცმასაც ვერიდებოდი. უკვე ისე მთრგუნავდა ეს ყველაფერი და სახელსაც ვერ ვარქმევდი რა იყო და რისი მეშინოდა. მეორე დღეს ისე მოხდა, რომ მამაჩემს წნევამ აუწია ამიტომ სამსახურში დროულად ვერ მივედი, 15 წუთი დამაგვიანდა. ეს უფროსი კი ეზოში მხვდება და მეუბნება, ჩვენთან სამსახური 10 -ზე იწყებაო შემდეგ მეილი მომწერა, რომ შემდეგში ასეთი მოქცევისთვის „გამაპანღურებდა“ .

საბოლოოდ შემიძლია ვთქვა, რომ როცა ნიჭი და სილამაზეა ერთად ქალში ის აუცილებლად ხდება ჩაგვრის საგანი..

ქალი „პატრონის“ გარეშე

ასევე მავიწროვებენ ახლაც მეზობლები, რადგან ახლა მამაც დამეღუპა და რატომღაც როცა უსუსურს მხედავენ, ყველას ჰგონია, რომ მარტივად დამამცირებენ და დამჩაგრავენ. სახლი დამიწვეს და ახლაც კი დავა მაქვს სასამართლოში.

რას ვურჩევდი სხვებს

ახლა კი რას ვურჩევ სხვა ქალებს, რომ არასოდეს დანებდნენ. მინდა ჩემი მაგალითი მათთვის თქმის და აღიარების მიზეზი გახდეს. ახლა მათ კანონიც ეხმარება და სხვა ბერკეტები. არ დაეჩაგვრინონ ჩემსავით არავის. მე არავინ არ მყავდა არც კანონი და არც ადამიანი, მაგრამ ახლა ბევრი დაგეხმარება და გვერდში დაგიდგება. ჩემსავით არ დაგავიწყდებათ, რომ თურმე ქალები ხართ..

ცოცხალი ისტორიები რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების ხელმისაწვდომობაზე

22 წლის, ქუთაისი. *(პოსტ-კონსულტირება არ ჩაუტარდა, განმეორებითი აბორტი, კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციის არარსებობა, ცრურწმენები)*

„მყავს 2 წლის შვილი. თავი არასდროს დამიცავს. ერთი აბორტი უკვე გავიკეთე აქ და კმაყოფილი ვარ, ამიტომ ახლაც აქ მოვედი აბორტის გასაკეთებლად. პირველად შარშან მოვედი პრეკონსულტაციაზე, თავად შევარჩიე მედიკამენტოზური მეთოდი. პრე კონსულტაციამ კარგ გარემოში ჩაიარა. მედიკამენტი უკვე სახლში მივიღე ექიმის მითითების მიხედვით. თავს კარგად ვგრძნობდი, ამიტომ აღარ მივსულვარ პოსტაბორტულ კონსულტაციაზე და არც ეხოზე... არც დაურეკავთ, რომ აუცილებელი იყო მისვლა. ახლაც მედიკამენტოზური აბორტის გაკეთებას ვაპირებ. თუ კარგად ვიქნები, არა მგონია აუცილებელი იყოს პოსტ კონსულტაციაზე მოსვლა. პატარა ბავშვი მყავს და ეგრე მარტივად ვერ ვტოვებ,. არც კონტრაცეფციის შესახებ მიმიღია ინფორმაცია მაგრამ ვიცი რომ ცუდია.. პრეზერვატივი არც მე მომწონს და არც ჩემ ქმარს, აბებს ვერ დავლევ კიბო შეიძლება გამიჩინოს, თუ მაინდამაინც სპირალი შეიძლება ჩავიდგა. კონტრაცეფციის შესახებ მე მოვიძიე საიტებზე ბევრი ინფორმაცია და ვიცი რო საზიანოა, მაგრამ ახლა ჩემი ქმარი ერთი წლით წავიდა საზღვარგარეთ და აღარ დამჭირდება არც ეგ. “(სტილი დაცულია)

ინტერვიუს დროს სერვის პროვაიდერმა აღნიშნა, რომ 16 წლამდე ასაკის გოგონას მხოლოდ მშობლის ან სრულწლოვანი ნათესავის თანხმობის შემდგომ უკეთებენ რეფერალს, რაც კანონდარღვევაა. როგორც ინტერვიუმ გამოავლინა, სერვის პროვაიდერები არ ფლობენ სრულყოფილ ინფორმაციას აბორტთან დაკავშირებულ საკანონმდებლო რეგულირებებზე და საჭიროებენ ამ მიმართულებით ცოდნის მიღებას.

36 წლის, ქუთაისი *(გადაუდებელი კონტრაცეფციის შესახებ ინფორმაციის არ ქონა)*

„ამჟამად მყავს სამი შვილი. მეორე ბავშვის მერე მალევე დავრჩი ორსულად. ფარმატექსის სანთელი არასწორად მქონდა გამოყენებული. ორსულობა დაუგეგმავი იყო და ფსიქოლოგიურადაც არ ვიყავი მზად. მატერიალურადაც არ გვქონდა იმ პერიოდში კარგად სიტუაცია. მიუხედავად ამისა, მაინც ვერ ვრისკავდი აბორტს. ძალიან მეშინოდა რელიგიური მოსაზრებების გამოც. თუმცა I ტრიმესტრში შემხვდა ძლიერი გრიპი და მერე უკვე ექიმმაც მირჩია აბორტის გაკეთება, იმიტომ რომ დიდი შანსი იყო ნაყოფს პათოლოგიები ჰქონოდა. ვინაიდან უკვე 8 კვირის ვიყავი და არ

მინდოდა ქირურგიული მეთოდი, ამიტომ ექიმის რჩევით აღარ დაველოდეთ მოსაცდელი ვადის გასვლას და იმავე დღეს მივიღე მედიკამენტოზური აბორტის გადაწყვეტილება. მიუხედავად ამისა, ნაწიბური მაინც დარჩა, და გამოფხეკა დამჭირდა, რამაც ჩემს ჯანმრთელობაზეც ცუდად იმოქმედა. პოსტკონსულტაციის დროს მომეწოდა ინფორმაცია კონტრაცეფციის მეთოდებზე, თუმცა რატომღაც გინეკოლოგი განსაკუთრებით რეკომენდაციას უწევდა ფარმატექსის სანთლებს, ამიტომ თავად მივიღე გადაწყვეტილება და დავიწყე კონდომის გამოყენება. სამწუხაროდ, გადაუდებელი კონტრაცეფციის შესახებ მხოლოდ დღეს გავიგე, რომ მცოდნოდა მაშინვე დავლევდი და აღარ მომიწევდა აბორტის გადატანა.“

27 წლის, სამტრედია *(უარი სერვისზე, რეფერალის არარსებობა, ტერიტორიული ხელმისაწვდომობა უსაფრთხო მეთოდების)*

„ორივე ბავშვზე ქუთაისში ვიმშობიარე ლერი ხონელიძის კლინიკაში და ძალიან კმაყოფილი ვიყავი. მალევე დავრჩი მესამეზე ორსულად, ვინაიდან ფიზიკურად ძალიან სუსტი ვარ და წინა ორსულობამ მთლიანად დამიქვეითა იმუნიტეტი ოჯახში გადავწყვიტეთ გამეკეთებინა აბორტი. ქმარიც თანახმა იყო. თუმცა როგორც კი ჩემს გინეკოლოგთან მივედი, ეგრევე კატეგორიულად ამიკრძალა აბორტის გაკეთება. რომ ვუთხარი, რომ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა ჩემი ქმარი დაიბარა და ორივე ერთად გაგვლანძღა. ამის მერე გვითხრა რომ უზრუნველყოფდა, რომ ქუთაისის ვერცერთ კლინიკაში ვერ ჩამეტარებინა აბორტის პროცედურა. იძულებული გავხდი ისე სამტრედიაში წავსულიყავი აბორტის სერვისზე, სადაც ქირურგიულად გამომფხიკეს და ორკვირა სისხლდენები მქონდა. გული მწყდება რომ სასამართლოში არ ვუჩივლე, მაგრამ მაშინ არ მქონდა ინფორმაცია, რომ უფლება მქონდა, მომეთხოვა აბორტის სერვისი კლინიკაში“

სერვის პროვაიდერი, ქუთაისი, 2017 *(უარი აბორტის სერვისზე, რეფერალის არარსებობა)*

“გორში გათხოვდა არასრულწლოვანი 16 წლის გოგონა. რომლის მეუღლეც ჯარისკაცი იყო. ბიჭი სისტემატურად ძალადობდა გოგონაზე. ეს რომ მშობლებმა გაიგეს, გოგონა წამოიყვანეს. გოგონას დედა ჩემი შორეული ნათესავის. გოგონა ორსულად იყო, ამიტომ ჩემთან მოიყვანეს რომ გამეკეთებინა რეფერალი. გავითვალისწინე რა მისი ეს თხოვნა ასევე ისიც თუ რა რისკებთანაა დაკავშირებული პირველი აბორტი, აღარ გავუკეთე რეფერალი. რის გამოც ეს ოჯახი გაბრაზდა და აღარ გამოდის ჩემთან კონტაქტზე.”

24 წლის, აჭარა, 2017 *(ადრეულ ასაკში/ბავშვთა ქორწინება)*

“აჭარაში, ხელვაჩაურის რაიონში, გასულ წელს გათხოვდა 16 წლის გოგონა. გაჰყვა სრულწლოვან კაცს. ერთი წლის შემდეგ, 1-2 თვის წინ, შეეძინა ბავშვი. სამშობიაროდან გამოწერისას, ბავშვის რეგისტაციის დროს, დადგა საფრთხე რომ თუ ოფიციალურ დოკუმენტებში დაფიქსირდებოდა რომ სრულწლოვანს კაცს ჰქონდა სქეობრივი კავშირი არასრულწლოვან გოგონასთან (რაც კანონით აკრძალულია) საქმეში ჩაერთვებოდა პოლიცია. თუ სწორად მახსოვს ამ კაცს დააკისრებდნენ 2000 ლარიან ჯარიმას და პლუს, რამდენიმეწლიან პირობით სასჯელს. ამიტომაც, ბავშვი დაარეგისტირეს დედის გვარზე - თითქოს გოგონა ქორწინებაში არ არის და ბავშვის მამის ვინაობა უცნობია. მომავალ წელს, როცა გოგონა გახდება 18 წლის, უკვე ოფიციალურად დაქორწინდება თავის ქმარზე და ბავშვიც ოფიციალურად შეიცვლის გვარს და გადავა მამის გვარზე.

ყველელაზე მთავარი აქ ისაა, რომ ეს ”გამოსავალი” შესთავაზეს სამშობიაროშივე, ექიმებმა და ადმინისტრაციის თანამშრომლებმა. ჩანს, რომ ეს მიღებული პრაქტიკაა და ამ კონკრეტული ისტორიის გმირი არც პირველია და სავარაუდოდ, არც უკანასკნელი, ვინც ასე აუარა გვერდი კანონმდებლობას.” (სტილი დაცულია)